

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს

№83 (1593) 20-23 აგვისტო, 1997 წელი

შევიარდნაძეს კვლავ აქსაღებს პატივი. სამართლებლოსა?

წინასწარი შენიშვნა შევიარდნაძე-არძინბას თბილისში შეხვედრის გამო

14-15 აგვისტოს თბილისში შემდგარი შეხვედრის შედეგად შევიარდნაძისა და არძინბას მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, რომლის მხლოდ ფრაგმენტებია გამოქვეყნებული პრესაში, არძინბას ჩამოსვლა თბილისში და მისი მოლაპარაკება შევიარდნაძესთან მოხსენიებულია როგორც „აფხაზეთის დელეგაციის ჩამოსვლა არძინბას მეთაურობით და მისი მოლაპარაკება საქართველოს დელეგაციასთან“. მანამდე შემდგარი ყველა მოლაპარაკებისას და ამ მოლაპარაკებათა შედეგად შემდგარი ყველა დოკუმენტში ტექსტში არძინბა და მისი ჯგუფი, როგორც მოლაპარაკებათა მონაწილეები, იხსენიებოდნენ როგორც „კონფლიქტის აფხაზეთი მხარის“ წარმომადგენლები (და არა „აფხაზეთისა“), ხოლო მოლაპარაკების ქართველი მონაწილენი - როგორც „კონფლიქტის ქართული მხარის“ წარმომადგენლები“ (და არა „საქართველოსი“). ცნებებისა და ტერმინების ეს შეცვლა და საქართველოს პრეზიდენტის დათანხმება ამ შეცვლაზე, რაც მის მიერ ამ ტექსტის ხელმოწერაში გამოხატა, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ არძინბას აღიარებას „აფხაზეთის“ უფლებამოსილ წარმომადგენლად (და არა „აფხაზეთის დიდი ნაწილის დღესდღეობით მმართველი ჯგუფისა), ხოლო არძინბასა და შევიარდნაძის მოლაპარაკების აღიარებას *ორი ქვეყნის წარმომადგენელთა მოლაპარაკებად (და არა ერთ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების და მის ერთ ნაწილში არსებული სეპარატისტული ჯგუფის წარმომადგენელთა მოლაპარაკებად)*. ასეთი ფორმულირებების შემცველი დოკუმენტის ხელმოწერა საქართველოს პრეზიდენტის მიერ არის მის მიერ თავისი კონსტიტუციით გათვალისწინებული მოვალეობების, როგორც საქართველოს მთლიანობის გარანტიის, დალატი, ხოლო თუ გაეთვალისწინებთ, რომ არძინბა მასობრივი მკვლევლობების ორგანიზატორია - აგრეთვე მის მიერ თავისი კონსტიტუციური მოვალეობის, როგორც საქართველოს მოქალაქეთა სიცოცხლის დამცველის, დალატი და მის მიერ თავისი კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გადაჭარბება, რომელიც მიმართულია საქართველოს მთლიანობის მტრის სასარგებლოდ. ამავე დროს ამ დოკუმენტის ხელმოწერა არის დღესდღეობით თბილისში მყოფი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს დისკრედიტაცია, რაც აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

ამავე დოკუმენტის ხელმოწერით შევიარდნაძის მიერ ვადავლუბების კისრება, რომ საქართველომ არ მიჰმართოს ძალას თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, აფხაზეთიდან იარაღის ძალით გამოდევნილ მოსახლეთა შინ

დაბრუნებისთვისა და დამნაშავეთა დასჯისათვის, აგრეთვე პირდაპირი დალატი პრეზიდენტის კონსტიტუციური მოვალეობებისა და გადაჭარბება მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებებისა. ამავე დროს ამ დოკუმენტის ხელმოწერა საქართველოს პრეზიდენტის მიერ არის პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც აფხაზეთში დასახლების მსურველ უცხო ეთნიკურ ელემენტს, მათ შორის - დამნაშავე ელემენტს და მათ შორის - ქართველთა მიტოვებული სახლების მისაკუთრების მსურველ ელემენტს - ათავისუფლებს დამსახურებული სასჯელის შიშისაგან და აადვილებს აფხაზეთის კოლონიზაციას, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად ქართველებისაგან განთავისუფლებული ადგილების კოლონიზაციის ჩათვლით.


შევიარდნაძის ხსენებული ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების კატასტროფულ შედეგთა შერბილება და ამ მოქმედებით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ ერთი გზით - აქვს მარამ არ დაიჯეროთ - აქვს კიდევ ერთხელ მოიწოდებთ - აღსრულდეს კანონი, ცსკ დადგინდება №100!

პატივისცემით
ჯ. იოსელიანი

ჯაბა იოსელიანი: ჯემალ ლეონიძეს, როგორც კრიმინალს, აღარ აქვს უფლება განიხილოს ჩემი საქმე

პატიმრობაში მყოფმა „მხედრონის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯაბა იოსელიანმა ღია წერილი გაუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მინდია უგრეხელიძეს და პარლამენტის იურიდიულ, საკონსტიტუციო საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს.

ღია წერილი მოგეწავადა სააკაშვილს „პრაიმ-ნიუსმა“



სამართლებლო უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარეს ბატონ მინდია უგრეხელიძეს!
სამართლებლო კარლამანტის საკონსტიტუციო, იურიდიულ
საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ მიხეილ სააკაშვილს!
პატიმარ-პარლამენტარ ჯაბა იოსელიანი

გ ა ნ ე ხ ა ლ ე ბ ა


ბ-ნო მინდია, თქვენმა დანიშნულმა მოსამართლე ჯემალ დეონიძემ განმწესრიგებულ სხდომაზე გადაბარა პროკურატურა, შსს მიერ წარმოებული დანაშაულებრივი პროცესი და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №100, ჩემი დაუყოვნებლივ გათავისუფლებისა და ჩემს დაპატიმრებაში დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, განსაკუთრებული ცინიზმით (პროკურატურის კლიშე) უგულვებელყო. მოგესვენებათ, მედავითნობა გადაწყვეტილების გამოტანამდე დასაშვებია, კანონი კი ქვეყანაც რომ დაინგრეს, უნდა შესრულდეს, ვინც ვიღაცას ოჯი მიანდეს არასამართლიანად. ამრიგად, მოსამართლე ჯემალ დეონიძეს, როგორც კრიმინალს (კრიმინალი მართლ ქათმის ქურდობა არ არის), აღარ აქვს უფლება განიხილოს ჩემი საქმე.

ორი კვირაა ეშმშიდობ. მითითებულ შეხვედრას ვერსაბჭოსა და გაეროს წარმომადგენლებთან რის გეშინიათ?

ბატონი მინდია და ბატონო მიხეილ, თქვენს მიერ ხშირად დეკლარირებული უფლებამოსილებების გამოჯენა და „ჩაურევლობა“ ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა პილატეს პოზიცია. ნუ დაემსგავსებით ე.შევიარდნაძეს: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. მართალია, როგორც თვითონ განაცხადა, მას სიკვდილის უფლება არა აქვს, მაგრამ არ დაიჯეროთ - აქვს!

კიდევ ერთხელ მოიწოდებთ - აღსრულდეს კანონი, ცსკ დადგინდება №100!

პატივისცემით
ჯ. იოსელიანი



იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

ბინები

იყიდება 2 ოთახიანი ბინა 2 სართულიანის მე-2 სართულზე...

იყიდება 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მშენებარე ერთსართულიანი სახლი...

იყიდება 3 ოთახიანი მაღალჭერიანი სარემონტო ბინა ლოჯიით...

იყიდება ორსართულიანი საკუთარი სახლი საბურთალოს რაიონში...

იყიდება 2 და 3 ოთახიანი ბინები საბურთალოს რაიონში...

იყიდება მე-2 სართულზე ერთ სადარბაზოში გვერდობით მდებარე ორი 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა...

იყიდება საკუთარი სახლი ბელეგრადზე ორთაბაღში კეთილმოწყობილი...

ქირადება 2 ოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით, ავეჯით და მანქანის ავტოსადგომით...

ყველა სასწრაფოდ რუსთაველი ერთსართულიანი ბინა ფასი 1000\$ ტელ. 63-63-25 მანრი ან ხატია

იყიდება ბაგებში გარემონტებული 3 ოთახიანი ბინა რკინის კარებით...

სასწრაფოდ იყიდება საგურამოში (ბურჯანში) ორსართულიანი სახლი...

იყიდება მიწის ნაკვეთი 600 კვ.მ. მსხვილარე ხეხილით...

იყიდება 5 ოთახიანი იზოლირებული ბინა, საერთო ფართობი 150 კვ.მ...

ტელ. 95-67-77

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით რეასართულიანის მე-8 სართულზე...

იყიდება 3 ოთახიანი კოპერატიული, პრიატიზებული სუფთა ბინა ლოჯიით...

შევიძენ 2 ოთახიანი ბინა თავისუფლების მოედნის მიდამოებში...

სხვადასხვა

იყიდება მექანიკური საბეჭდი მანქანა ფასი შეთანხმებით...

სასწრაფოდ შევისყიდო გერმანული წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში...

იყიდება ფართი 100 კვ.მ გამოდგება ოფისისათვის ან მაღაზინისათვის...

იყიდება ტექნიკური ენციკლოპედია 24 ტომი. საწყისი ფასი 100 ლარი...

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით...

იყიდება სამედიცინო ლექსიკონი „ბავშვთა ინფექციური დაავადება“...

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით რუმინული სამზარეულო...

ზისტორი „ოკანე“ მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე ფასი 60\$ ტელ. 72-26-31

იყიდება 3 ფაზიანი 25 კვტ დიზელ-გენერატორი ფასი შეთანხმებით...

იყიდება სამფაზიანი 20 კვტ დიზელგენერატორი ფასი შეთანხმებით...

იყიდება გერმანული მარკის იშვიათი როიალი „ბლუტმერი“ ფასი 5000\$ ტელ. 38-01-11

იყიდება სასწრაფოდ მაცივარი-საყინულე „მინსკი-18“ ფასი 600 ლარი...

იყიდება სუფთა ჯიშის კაკასიური ნაგაზი ფასი შეთანხმებით...

იყიდება იატაკის საპირ-აღებელი მანქანა „ეპემ-2“ ოდნავ ნახშირი ფასი 40 ლარი...

ქირადება

ქირადება 45 კვ.მ ნახევარსარდაფი სამეურნეო საქმიანობისათვის...

გაზეთის რედაქცია სამუშაოდ იწვევს ინდივიდუალურ რეალიზატორებს...

აუდიტორული სამიანობის შიზოლუგული კასუსისგამალოვის საზოგადოება. აუდიტორული სამიანობის შიზოლუგული კასუსისგამალოვის საზოგადოება.

ნათია ქათამაძის ხსოვნის საყვარელო ნათია! ჩვენი კეთილი, ღამაზო, სიცოცხლით საყვარელი გოგონა...

დაგვიხმად ლიხანოვსკის ახალი ნაწილი კვირვანი ლითონებისა და ქვების გაყოფისა და სწავლის სწავლა

სამაროვიძის ფინანსთა მინისტრმა საგანგებო ბრძანებით დაამტკიცა „თურიდული და ფიზიკური პირების ლიცენზირების ახალი წესი“...

მოცემულ დოკუმენტს ქვემოთხსენიებული: ლომბარდების საქმიანობა; მოსახლეობისაგან ძვირფასი ლითონების ჯართის შესყიდვა, შემდგომი რეალიზაციის მიზნით; ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობების დამზადება; ძვირფასი ქვების საქმისპროტოშეფასებასა და მათი შეფასება; საკომისიო, საცალო და საბითუმო ვაჭრობა ძვირფასი ნაკეთობებით; ძვირფასი ლითონების გადამამუშავება, აფინაჟი და რეგენერაცია; ძვირფასი ქვების დამამუშავება; კბილის პროთეზების დამზადება და რესტავრირება.

როგორც პრაიმ-ნოუსს აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასინჯო ხელდახმევად სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა, მიხეილ ბაგიაშვილმა, ახალი „წესი“ მნიშვნელოვნად გაამარტივა ლიცენზიის მიღების პროცესი მეწარმეს აღარ დასჭირდება მრავალრიცხოვანი ცნობები სხვადასხვა ინსტანციებთან. საქმისათვის ფინანსთა სამინისტროს სალიცენზიო ბიუროში წარადგინოს დოკუმენტები, რომლებიც აღასტურებს მისი ფორმის რეგისტრაციას სასამართლოსა და საგადასახადო ინსპექციაში. ლიცენზიის გაცემისას ყურადღება გამახვილდება საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია მოცემულ სფეროებში სამუშაოების სრულყოფილად უზრუნველყოფა. (პრაიმ-ნოუსი)

სატელეფონო სადგურები ციფრულ სისტემაზე გადავიდა

სამხრეთი კორეული ფირმა „დეუ ტელეკომის“ ხელშეწყობითა და დაფინანსებით, დასრულდა ახალი ციფრული მოწყობილობების დამონტაჟება და ამჟამად მიმდინარეობს მასზე თბილისის იმ ავტომატური სატელეფონო სადგურების გადართვა, რომელთა აპარატურის ნომრები იწვევს შემდეგი ციფრებით - 30, 31, 36, 50 და 51. მიმდინარე წლის ბოლომდე ეს პროცესი დასრულდება.

როგორც პრაიმ-ნოუსს აცნობა საწარმო „საქართველოს ელექტროკავშირის“ ტექნიკურმა დირექტორმა, კარლო სულხანიშვილმა, მოცემული პროექტი განხორციელდა კომპანია „დეუ ტელეკომის“ მიერ გამოყოფილი ტექნიკური კრედიტის დახმარებით. ეს უწყება კორეელებმა გასულ წელს მოიპოვეს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შედეგად.

სატელეფონო სადგურების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებდა საწარმო „ახალი ქსელები“. (პრაიმ-ნოუსი)

გამარჯვებით უფასო განსხვავებას დაგვირგვინეთ: 93-18-41

